



საჯარო სამართლის იურიდიული პირი წიალის ეროვნული სააგენტო



KA020143082787321

მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. N150 ტელ: +995 591 40 40 51: ფაქსი: +995 32 243 95 02

22/1305

12 / მარტი / 2021 წ.

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის სამინისტროს

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასარგებლო წიალისეულის მოპოვების ლიცენზიისადმი დაქვემდებარებული ამ კოდექსის II დანართით გათვალისწინებული საქმიანობის სკრინინგის გადანყვეტილების მიღების მიზნით, წარმოგიდგენთ ამბროლაურის მუნიციპალიტეტში, სოფ. ახალსოფლის, სოფ. კრიხის და სოფ. სხვავის მიმდებარე ტერიტორიაზე, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვების (1 700 000 მ³/წელიწადში, კომუნალური და სოფლის წყალსადენებისათვის) სკრინინგის განცხადებას (ID_19275_51011, 22.01.2021 წ.).

გეოსაინფორმაციო პაკეტი და რუკა თან ახლავს სკრინინგის განცხადებას დანართის სახით.

სალიცენზიო ობიექტი (სამი წყარო) მდებარეობს ზღვის დონიდან 640-750 მეტრის სიმაღლეზე, ამბროლაურის მუნიციპალიტეტში, სოფ. ახალსოფლის, სოფ. კრიხის და სოფ. სხვავის მიმდებარე ტერიტორიაზე.

საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით ობიექტის ტერიტორია მიეკუთვნება I (მარტივ) კატეგორიას.

წიალით სარგებლობა მოცემული კოორდინატების საზღვრებში დასაშვებია, ვინაიდან აღნიშნული საქმიანობა არ გამოიწვევს გეოდინამიკური სიტუაციის გაუარესებას.

სალიცენზიო ობიექტი (სხვავის ობიექტი) ფიქსირდება ამბროლაურის სატყეო უბანში.

ობიექტი არ ხვდება სახელმწიფო ტყის ფონდის დაცული ტერიტორიების, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან სიახლოვეს, არც ტყით მჭიდროდ დაფარულ ტერიტორიაზე, სადაც გაბატონებულია წითელი ნუსხით დაფარული ხე-მცენარეები, ასევე არ ფიქსირდება დაცულ ტერიტორიებთან, მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიებთან, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან და სხვა ობიექტებთან.




„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გთხოვთ, განიხილოთ წარმოდგენილი სკრინინგის განცხადება და მიიღოთ გადანყვეტილება იმის თაობაზე, ექვემდებარება თუ არა აღნიშნული საქმიანობა გარემოზე შეფასების საქმიანობას და შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადანყვეტილების მიღებას.

დანართი: ტოპოგრაფიული რუკა - 1 ცალი, გეოსაინფორმაციო პაკეტი - 4 გვ. shape ფაილი.

სსიპ წიალის ეროვნული სააგენტოს უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელემენტრონულად

ნანა ზამთარაძე

| პოზიცია | საინფორმაციო კითხვარი | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|----------|---|---------------|--|--|---|---|---|---|--------------|---------------|-------|--|--|---|---|---|---|--------------|---------------|--------|--|--|---|---|---|---|--------------|---------------|---|--------------|---------------|---|--------------|---------------|----------|--|--|
| 1 | წიაღითსარგებლობის ობიექტი – ამბროლაურის მუნიციპალიტეტში, სოფ. ახალსოფლის, სოფ. კრიხის და სოფ. სხვავის მიმდებარე ტერიტორიაზე მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება. | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 2 | წიაღითსარგებლობის ობიექტის (წყაროს, ჭის, ჭაბურღილის) მდებარეობა | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 2.1 | რეგიონი – რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 2.2 | მუნიციპალიტეტი – ამბროლაური | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 2.3 | უახლოესი დასახლებული პუნქტი – სოფ. ახალსოფელი, სოფ. კრიხი და სოფ. სხვავა | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 2.4 | დაშორება მნიშვნელოვანი პუნქტიდან – ქ. ამბოლაურიდან 3 კმ. 4 კმ. 7 კმ. | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 2.5 | მანძილი სახელმწიფო საზღვრიდან – აღემატება 10 კილომეტრს | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 2.6 | მდინარის აუზი (ან მთათა სისტემა) – მდ. დიონის აუზი | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 2.7 | წიაღითსარგებლობის ობიექტის კოორდინატები – <table border="1" data-bbox="359 761 699 1124" style="margin: 10px auto;"> <thead> <tr> <th colspan="3">ხოტეურა</th> </tr> <tr> <th>№</th> <th>X</th> <th>Y</th> </tr> </thead> <tbody> <tr> <td>1</td> <td>348235.50180</td> <td>4705728.33810</td> </tr> <tr> <th colspan="3">კრიხი</th> </tr> <tr> <th>№</th> <th>X</th> <th>Y</th> </tr> <tr> <td>1</td> <td>351097.16170</td> <td>4706882.12740</td> </tr> <tr> <th colspan="3">სხვავა</th> </tr> <tr> <th>№</th> <th>X</th> <th>Y</th> </tr> <tr> <td>1</td> <td>353520.11240</td> <td>4706081.54970</td> </tr> <tr> <td>2</td> <td>353527.88350</td> <td>4706069.10130</td> </tr> <tr> <td>3</td> <td>353530.60300</td> <td>4706068.65550</td> </tr> <tr> <td colspan="3" style="text-align: center;">WGS 1984</td> </tr> </tbody> </table> <div style="display: flex; justify-content: space-around; align-items: center;">  </div> <div style="display: flex; justify-content: space-around; align-items: center; margin-top: 20px;">   </div> | ხოტეურა | | | № | X | Y | 1 | 348235.50180 | 4705728.33810 | კრიხი | | | № | X | Y | 1 | 351097.16170 | 4706882.12740 | სხვავა | | | № | X | Y | 1 | 353520.11240 | 4706081.54970 | 2 | 353527.88350 | 4706069.10130 | 3 | 353530.60300 | 4706068.65550 | WGS 1984 | | |
| ხოტეურა | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| № | X | Y | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 1 | 348235.50180 | 4705728.33810 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| კრიხი | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| № | X | Y | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 1 | 351097.16170 | 4706882.12740 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| სხვავა | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| № | X | Y | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 1 | 353520.11240 | 4706081.54970 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 2 | 353527.88350 | 4706069.10130 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 3 | 353530.60300 | 4706068.65550 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| WGS 1984 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 2.8 | ობიექტის (წყაროს, ჭის, ჭაბურღილის) აბსოლუტური სიმაღლე ზღვის დონიდან – 640-750 მეტრის ფარგლებში. | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 2.9 | კლიმატური პირობები – რაიონის კლიმატი ცვალებადი-ტენიანია, ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა 600–1700 მმ-ია (მთიანი ნაწილი). მათი მაქსიმალური რაოდენობა მოდის სექტემბერ-ოქტომბერში, მინიმუმი ზაფხულის მეორე ნახევარში და ზამთრის ბოლოს. ჰაერის საშუალო თვიური ტემპერატურა მერყეობს +5-6°C ÷ 20-30°C, ზამთარში –1-დან -2°C-მდე. | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 3 | ხელისშემშლელი ინფრასტრუქტურული ობიექტები და სხვა ფაქტორები | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 3.1 | მანძილი უახლოესი საავტომობილო გზის ღერძიდან – | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 3.2 | მანძილი სხვა უახლოესი ინფრასტრუქტურული ობიექტებიდან – | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 3.3 | დამატებითი მონაცემები – | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 4 | სატყეო რესურსები | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |

| | |
|-----|---|
| 4.1 | სახელმწიფო ტყის ფონდის დაცული ტერიტორიების კატეგორიაში – არ ფიქსირდება. |
| 4.2 | ეროვნული სატყეო სააგენტოს რეგიონალური სატყეო სამსახური – სხვაგვარ ობიექტი ფიქსირდება ამბროლაურის სატყეო უბანში. |
| 4.3 | სატყეო რესურსების დამატებითი მონაცემები – |
| 5 | წიაღითსარგებლობის ობიექტის გეოლოგიური პოზიცია |
| 5.1 | წიაღითსარგებლობის ობიექტის (წყაროს, ჭის, ჭაბურღილის) ჰიდროგეოლოგიური პოზიცია საქართველოს ტერიტორიის ჰიდროგეოლოგიური დარაიონების მიხედვით – ნაპრაღური და ნაპრაღურ-კარსტული წყლების რაჭა-ლეჩხუმის არტეზიული აუზი. |
| 5.2 | <p>წყალშემცველი ჰორიზონტი – სხვაგვარ წყარო ფიქსირდება ქვედა ცარცული (ნეოკომი) ნალექების წყალშემცველ ჰორიზონტში, რომელიც ფართოდაა გავრცელებული რაჭის სინკლინის ფარგლებში. იგი ლითოლოგიურად წარმოდგენილია დოლომიტიზირებული კირქვებით. ნალექების საერთო სიმძლავრე რამდენიმე ასეული მეტრიდან 1000 მეტრამდე აღწევს.</p> <p>კრიხის და ხოტეურას წყარო გამოედინება ქვედა და ზედა პალეოცენ-ზედა ეოცენის ნალექების წყალშემცველი ჰორიზონტიდან. ლითოლოგიურად წარმოდგენილია კარბონატული ფაციესით და მიკროფორამინიფერებიანი კირქვებით. საერთო სიმძლავრე 75-160 მ.</p> |
| 5.3 | ცალკეული ობიექტის (წყაროს, ჭის, ჭაბურღილის) მონაცემები (სიღრმე, კაპტაჟი) – წყაროები დაკაპტაჟებულია რკინა-ბეტონის კონსტრუქციით. |
| 6 | მიწისქვეშა წყლების ხარისხობრივი დახასიათება |
| 6.1 | <p>ქიმიური შედგენილობა – ქვედა ცარცული (ნეოკომი) ნალექების მიწისქვეშა წყლები ქიმიური შედგენილობით, თავისუფალი წყალცვლის ზონაში ჰიდროკარბონატულ-კალციუმიან-მაგნიუმიანი ტიპისაა. საერთო მინერალიზაცია 0.5 გ/ლ-მდე. საერთო სიხისტე 2.0-5.0 მგ/ექვ. სიხისტე ძირითადად კარბონატულია. pH-6-7</p> <p>ქვედა და ზედა პალეოცენ-ზედა ეოცენის ნალექების წყლები ჰიდროკარბონატული კალციუმიანი და კალციუმიან-ნატრიუმიანი, იშვიათად ჰიდროკარბონატულ-სულფატური კალციუმიან-მაგნიუმიანი ტიპისაა. საერთო მინერალიზაცია 0.2-0.9 გ/ლ. საერთო სიხისტე 1.8-8.6 მგ/ექვ. pH-5.5-7</p> <p>1981 წლის მონაცემებით სხვაგვარ წყარო ქიმიური შედგენილობის ფორმულაა:</p> $M_{0.341} \frac{HCO_3 92 Cl 4 SO_4 2}{Ca 69 Na 16 Mg 13}$ <p>ხოლო, კრიხის წყაროს ქიმიური შედგენილობის ფორმულაა:</p> $M_{0.345} \frac{HCO_3 90 SO_4 4 Cl 4}{Ca 70 Mg 18 Na 11}$ |
| 6.2 | სანიტარიული მდგომარეობა – ჰორიზონტის წყლების სანიტარიული მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. |
| 6.3 | ტემპერატურა – სხვაგვარ - 5°C, კრიხი - 12°C, ხოტეურას წყაროს წყლის ტემპერატურა უცნობია |
| 6.4 | წიაღითსარგებლობის ობიექტის დაძიების ხარისხი (სტადია) – ტერიტორია შესწავლილია რაჭა-ლეჩხუმის არტეზიული აუზის ჰიდროგეოლოგიური აგეგმვის სტადიაზე. |
| 6.5 | წიაღითსარგებლობის ობიექტის შესწავლის ხარისხი – სალიცენზიო წყაროების ზუსტი დებიტი უცნობია, მაგრამ ვიზუალური შეფასებით ისინი დააკმაყოფილებს მოთხოვნილი 1700000 |

| | |
|-----|--|
| | მ/წელიწადში რაოდენობის წყლის მიღებას. საექსპლუატაციო მარაგი დამტკიცებული არ არის და იგი წარმოდგენილია P (პროგნოზული) კატეგორიით. |
| 6.6 | მიწისქვეშა წყლების გამოყენების სფერო (ფაქტიური და შესაძლო) – წყლის გამოყენება შესაძლებელია კომუნალური და სოფლის წყალსადენებისათვის. |
| 6.7 | სალიცენზიო პირობები წიაღით (წყალი) სარგებლობისთვის – 1. ლიცენზიანტმა უნდა აწარმოოს მონიტორინგული დაკვირვება წყლის დებიტზე, ტემპერატურაზე და ქიმ. შედგენილობაზე; 2. ლიცენზიის მიღებიდან 3 წლის ვადაში, ლიცენზიანტმა უნდა შეადგინოს წყლის მარაგების ანგარიში და უზრუნველყოს მისი დასამტკიცებლად წარდგენა; 3. უზრუნველყოს სანიტარული ზონების დადგენა და დაცვა; 4. ლიცენზიის მოქმედების პერიოდში ლიცენზიანტმა უნდა უზრუნველყოს მუდმივი ჰიდროქიმიურ-რეჟიმული დაკვირვებები და სანიტარულ-ბაქტერიოლოგიური კონტროლი. |
| 6.8 | დამატებითი მონაცემები – |
| 7 | წიაღითსარგებლობის ობიექტის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების ვიზუალური შეფასება |
| 7.1 | წიაღითსარგებლობის ობიექტის მორფოლოგია – სალიცენზიო ობიექტი (სამი წყარო), რომელიც წარმოდგენილია სხვაგვარ, კრიხისა და ხოტეურას სათავე ნაგებობით მდებარეობს ქვემო რაჭის საშუალომთიან ზონაში კერძოდ რაჭის ქედის ჩრდილო ფერდობზე არსებული, მდინარე რიონის მარცხენა შენაკადების მდ.მდ. კრიხულას, ხოტეურასა და სხვაგვარ აუზში. ხოტეურას სათავე ნაგებობა წარმოდგენილია მდ. რიონის მარცხენა, მეორე რიგის შენაკადის მდ. ხოტეურას ვიწრო პროფილის მქონე ხეობის ჭალა-კალაპოტში არსებული მსხვილდებიტიანი წყაროთა ჯგუფის გამოსავლით, რომელიც თავს იყრის რკინა-ბეტონის კონსტრუქციით თავმორთულ კაპტაჟში და მთლიანობაში წარმოადგენს წყალშემკრებ გალერეას. კრიხის სათავე ნაგებობა მდებარეობს მდინარე რიონის მარცხენა შენაკადის მდ. კრიხულას მარცხენა, ჩრდილო ექსპოზიციის, 55-60 ^მ -ის დახრილობის მქონე ფერდობის ძირში. მიწისქვეშა-მტკნარი წყლის გამოსავალი აღნიშნულ უბანზე წარმოდგენილია, ვოკლუზური ტიპის მსხვილდებიტიანი წყაროს სახით, რომელიც დაკაპტაჟებულია ბუნკერის მსგავსი რკინა-ბეტონის კონსტრუქციით (გალერეა). სხვაგვარ სათავე ნაგებობა, რომელიც წარმოდგენილია წყაროთა ჯგუფის სამი კაპტაჟით, მდებარეობს მდინარე კრიხულას მარცხენა უსახელო შენაკადის (სხვაგვარ) კანიონისებური ტიპის ხეობის კალაპოტში. ზემოაღნიშნული წყაროთა ჯგუფის გამოსავლები თავმორთულია რკინა-ბეტონის კონსტრუქციის კაპტაჟით. წყაროებიდან წყალი გაყვანილია ლითონის მსხვილ დიამეტრიანი მილებით ადგილობრივი მოსახლეობის წყალმომარაგების მიზნით. |
| 7.2 | წიაღითსარგებლობის ობიექტის და მიმდებარე ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის კატეგორია – საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით ობიექტის უბნების ტერიტორია მიეკუთვნება I (მარტივი) კატეგორიას. |
| 7.3 | წიაღითსარგებლობის ობიექტის და მიმდებარე ტერიტორიის გეოდინამიკური სიტუაცია – არ ფიქსირდება. |
| 7.4 | წიაღითსარგებლობის ობიექტის ექსპლუატაციის პროცესში მოსალოდნელი გართულებები – არ არის მოსალოდნელი. |
| 7.5 | გეოდინამიკური და გეოეკოლოგიური გართულებების შემთხვევაში გამაჯანსაღებელი ღონისძიებების დასახვა – არ საჭიროებს. |
| 7.6 | დასკვნები და რეკომენდაციები – |


| | |
|------------|--|
| | <ol style="list-style-type: none"> 1. სალიცენზიო ობიექტი (სამი წყარო), რომელიც წარმოდგენილია სხვაგვას, კრიხისა და ხოტეურას სათავე ნაგებობით, მდებარეობს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის, სოფ. სხვაგას, სოფ. კრიხის, სოფ. ახალსოფლის მიმდებარე ტერიტორიაზე; 2. საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით ობიექტის უბნების ტერიტორია მიეკუთვნება I (მარტივი) კატეგორიას; 3. წყაროების კაპიტაჟი საჭიროებს განახლებას და კეთილმოწყობას; 4. ლიცენზიანტმა უნდა აწარმოოს მონიტორინგული დაკვირვება წყლის დებიტზე, ტემპერატურაზე და ქიმ. შედგენილობაზე; მონიტორინგის მასალებზე დაყრდნობით, ლიცენზიანტმა უნდა შეადგინოს წყლის მარაგების ანგარიში და უზრუნველყოს მისი დასამტკიცებლად წარდგენა; უზრუნველყოს სანიტარული ზონების დადგენა და დაცვა; ლიცენზიის მოქმედების პერიოდში ლიცენზიანტმა უნდა უზრუნველყოს მუდმივი ჰიდროქიმიურ-რეჟიმული დაკვირვებები და სანიტარულ-ბაქტერიოლოგიური კონტროლი; ლიცენზიის მიღებიდან 3 წლის ვადაში, ლიცენზიანტმა უნდა შეადგინოს წყლის მარაგების ანგარიში და უზრუნველყოს მისი დასამტკიცებლად წარდგენა; 5. მე-3 და მე-4 პუნქტების გათვალისწინებით, წყაროებიდან წყლის მოპოვება დასაშვებია. |
| 8 | გეოლოგიური ინფორმაციის მომზადებისას გამოყენებული ფონდური და ბუჭდური მასალა |
| 8.1 | გეოლოგიური ანგარიშის (ან წიგნის) ავტორი (ავტორები) – თ. ლომიძე, გ. კუჭუხიძე, მ. ჯაფარიძე |
| 8.2 | ანგარიშის შედგენის (გამოცემის) ადგილი (გამომცემლობა) და წელი – ქ. თბილისი, 1983 წ. |
| 8.3 | ანგარიშის ფონდური (საბიბლიოთეკო) ინვენტარული № – 16106 |

შემსრულებლები:

ს. მკალავიშვილი, ნ. ჩომახიძე, ა. ქემოკლიძე, ზ. ბერიაშვილი, გ. ბუცხრიკიძე, თ. აქოფაშვილი

შეთანხმებულია:

სასარგებლო წიაღისეულის მართვის
დეპარტამენტის უფროსი



მერაბ ჩალათაშვილი